შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

№33 (9.549)

7 სექტემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

საჩუქარი – ყველა ახალშობილს

ერთჯერად ფულად ჯილდოს, ამიერიდან, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ყველა ახალშობილი მიიღებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ შესაბამის დადგენილებაში ცვლილებები 3 სექტემბრის სხდომაზე უკვე შეიტანა.

„მოსახლეობის მინიმალური სოციალური დახმარების პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს საკრებულოს დადგენილებაში ამ დრომდე მითითებული იყო, რომ ფულადი თანხა მხოლოდ იმ ახალშობილზე გაიცემოდა, რომლებიც დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე დაიბადებოდნენ. დედაქალაქში, ან სხვა სამედიცინო დაწესებულებებში მშობიარეები ამ საჩუქრით ამ დრომდე ვერ სარგებლობდნენ.

როგორც დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ამჯერად დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ყველა სახის შეზღუდვა მოიხსნა:

„თავდაპირველად 100 ლარს გავცემდით, თუმცა ნელ-ნელა გავზარდეთ. 2 წელზე მეტია, უკვე 300 ლარიან ჯილდოს გავცემთ, თუმცა ამ დრომდე იყო ცალკეული შეზღუდვები. იმის გამო, რომ ძალიან ბევრი განცხადება შემოდის და დიდია ინტერესი, მივიღეთ გადაწყვეტილება, ახალშობილების დაყოფა არ მოხდეს. ამდენად, ყველა დედოფლისწყაროელი ჩვილი მუნიციპალიტეტისგან 300 ლარს მიიღებს,“ — აცხადებს ლევან ბაღაშვილი.

საკითხს დეპუტატებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს და დაამტკიცეს.

ილია მარტყოფლიშვილი

მიხეილ სააკაშვილი: „არჩევნები თავისუფალ გარემოში ჩატარდება და ხალხი ესკალაციას არ დაუშვებს“

საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარების თემა იყო ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტისასაც.

არჩევნები თავისუფალ გარემოში ჩატარდება და ხალხი ესკალაციას არ დაუშვებს, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 6 სექტემბერს ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან ერთად გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

პრეზიდენტის თქმით, არჩევნები ჩატარდება თავისუფალ გარემოში და ხალხი არ დაუშვებს ესკალაციას. გარედან ჩარევის მცდელობა ყოველთვის იყო და აქ არაფერი ა ახალი. თუმცა, ილუზია ნურავის ექნება და მანიპულაციები ყოველთვის იქნება, მაგრამ ეს შედეგს არ მოიტანს.

“როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, ვიღაცის ყიდვა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ როგორც საქართველო არ გაიყიდება, ისე არ იყიდება დემოკრატიული სამყარო. დარწმუნებული ვარ, რომ მოსახლეობა სწორ არჩევანს გააკეთებს და ვიზრუნებ თითოეული მოქალაქის უფლებების დასაცავად, რათა ყველაზე მიუკერძოებელი არჩევნები ჩატარდეს”, - განაცხადა საკაშვილმა და დასძინა, რომ საქართველო რეფორმების გზაზე სიარულსა და განვითარებას აუცილებლად გაარძელებს.

ნატო-ს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ბრწყინვალე ტესტი იქნება საქართველოს დემოკრატიისათვის.

ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ საკაშვილთან ერთად თბილისში, პრეზიდენტის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და იმედი გამოთქვა, რომ ყველა პოლიტიკური მოთამაშე პასუხისმგებლობით შეასრულებს თავის როლს ამ პროცესში.

„საქართველო არის ნატოსთვის განსაკუთრებული პარტნიორი. ნატოს კარი გახსნილია ქვეყნებისთვის, რომლებიც მზად არიან გააგრძელონ მუშაობა რეფორმების და ინტეგრირების კუთხით. საქართველო დგას რეფორმების გზაზე და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ეს მძიმე და სერიოზული პროცესია. ამან ნატოსთან დაგაახლოვათ და ეს გზა მიგიყვანთ ნატოს წევრობამდე. ჩვენ ასევე გავაგრძელებთ მხარდაჭერას საქართველოს რეფორმების პროცესებისადმი. ვუყურებთ საქართველოს და ვადევნებთ თვალყურს. ოქტომბრის საპარლამენტო და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები იქნება ბრწყინვალე ტესტი საქართველოს დემოკრატიისათვის. იმედია, ყველა პოლიტიკური მოთამაშე პასუხისგებლობას იგრძნობს ამ პროცესებში. მომავალი თქვენს ხელშია. თქვენ გყავთ მეგობარი ნატო-ს სახით და შესაბამისად იმედი, რომელიც უკავშირდება ნატო-ს” - განაცხადა რასმუსენმა.

მრავალსართულიანი კორპუსების ფასადებს ღებავენ

გვ. 2

მირზაანის სკოლის ეზოში ავარიული შენობის დემონტაჟი მოხდა

გვ. 6

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 1 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

მიხეილ სააკაშვილი—

ყურძენზე 1 ლარი მიღწევაა, რამდენიმე წელი ფასს შევინარჩუნებთ

„1 ლარი ეხლა მიღწევაა და შემდეგ რამდენიმე წელიწადი ამას შევინარჩუნებთ. ღვინის ექსპორტის 20%—იანი ზრდა გვაქვს 8 თვის მდგომარეობით. ანუ 2 მილიონი ბოთლი. 20%—იანი კი არა უნდა გავაორმაგოთ. ჩვენი ღვინის რეკლამა უნდა ვაკეთოთ ყველგან“, — განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ყვარელში, სადაც მან ჭიკაანის ღვინის ქარხანა დაათვალიერა.

„ის ხალხი საქართველოს შიგნით, ვისაც საქართველო არ უყვარს ისტერიულად იძახიან, რომ ჩვენი ღვინო არ ვარგა. ჩვენი ღვინო მაგარია, კიდევ მეტი უნდა ვიმუშაოთ რა თქმა უნდა. ახლა ჩამომყავს ამერიკელი 3 სენატორი, გუშინ 3 მინისტრი მყავდა. მთელ მსოფლიოს უნდა გავაგებინოთ რა მაგარი ვენახები გვაქვს, რა მაგარი ყურძენი გვაქვს, რა მაგარი ღვინო გვაქვს. რეკლამა ასე ხდება. ჩვენი ღვინო ასევე ჩვენი იდეოლოგიური იარაღია, მარტო ეკონომიკური ამბავი არ არის. მაგრამ ეკონომიური არი, ნუ ხალხს უნდა გავუმართოთ ხელი. კახეთში ბევრად მეტი ფული შევა, სადაც გადარჩა ეს ვენახები. რაც არ უნდა ოფიციალური შეხვედრა მქონდეს, მაინც მოვრბივარ ხოლმე აქ იმიტომ, რომ როგორც დაგპირდით ხშირად უნდა ვიყო ხოლმე აქ და საქმეს დავხედოთ. ყველა ქარხანა უნდა შემოვიაროთ და ყველგან ვნახოთ. მთავარია ქარხნისთვისაც სარგებელი იყოს, ეს არის მნიშვნელოვანი“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

კახეთში ღვინის ქარხნები რქაწითელის ჯიშის ყურძენს 75 თეთრად იბარებენ, რასაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში კილოგრამზე 25 თეთრიც ემატება. საერთო ჯამში, რქაწითელის ფასი 1 ლარია. ამჟამად რქაწითელის ჯიშის ყურძენი დედოფლისწყაროს სოფლებში სამთაწყაროსა და ფიროსმანში, ასევე, სიღნაღის რაიონში სოფელ ძველი ანაგიდან კარდენახამდე იკრიფება.

პრეზიდენტმა სენატორებს ყვარელში უმასპინძლა

ამერიკელ სენატორებს საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ყვარელში, საკუთარ სახლში უმასპინძლა. ინფორმაცია პრეზიდენტის ფეისბუქის გვერდზე გავრცელდა.

ჯონ მაკკეინმა, ჯოზეფ ლიბერმანმა და ლინდსი გრემმა რთველშიც მიიღეს მონაწილეობა. ყურძნის მოკრეფის შემდეგ კი, მათ ყურძენი საწნახელში დაწურეს.

ამერიკელ სენატორებს საქართველოს პრეზიდენტი ქართული ღვინითაც გაუმასპინძლდა. სენატორები თონეში პურის ცხობის ტექნოლოგიითაც დაინტერესდნენ და პურის გამოცხობას თავად დაესწრნენ, შემდეგ კი, არაყთან ერთად დააგემოვნეს კიდეც.

უვიზო რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებთან

17 სექტემბერს საქართველოში ევროკავშირის ექსპერტები ჩამოვლენ.

მათი ვიზიტის მიზანი საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაა.

ისინი საბუთების უსაფრთხოებასა და საზღვრის მენეჯმენტის საკითხებს შეისწავლიან.

ამ წლის ბოლოს ევროკავშირი საქართველოს სამოქმედო გეგმასაც გადასცემს, რომლის განხორციელების შემდეგ ხელი მოეწერება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებას.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ ევროკავშირთან რეადმისიისა და გამარტივებულ სავიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით ხელშეკრულებას ხელი 2011 წელს მოაწერა.

ილია მეორე: იმედი მაქვს, ყველაფერი დამშვიდდება და ჩვენ სამშვიდობო გზაზე გავალთ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე იმედოვნებს, რომ საქართველო სამშვიდობოს გავა და ყველაფერი კარგად იქნება. ამის შესახებ ილია მეორემ ბოლნისში ბრძანა, სადაც ეპარქიის მოსალოცად იმყოფებოდა. პატრიარქმა ბოლნისის ტაძარში შეკრებილი მრევლი და სრულიად საქართველო დალოცა.

„იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი დამშვიდდება და ჩვენ სამშვიდობო გზაზე გავალთ. ღმერთი მოგვცემს სიმშვიდეს, სიმართლეს, საქართველოს ერთიანობას და კეთილდღეობას“, - ბრძანა უწმინდესმა. პატრიარქმა ასევე ბოლნისელი ეპისკოპოსის, ეფრემის ღვაწლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მან საკუთარი ხელით აღადგინა ბოლნისის წმინდა ეპარქია. “დაუღალავი შრომისა და გაციებული კერის აღდგენისთვის” პატრიარქმა ეფრემ ეპისკოპოსი მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა. მთავარეპისკოპოსმა კი ილია მეორეს ბოლნისური ჯვარი უსახსოვრა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბოლნისის ეპარქიას მოსალოცად დღეს ეწვია. ასევე, ილია მეორე კაზრეთის კვარცის მწარმოებელ საწარმოს ესტუმრება, კაზრეთის სამების ტაძარს, ასევე რაჭისუბანს მოილოცავს და სოფელ რატევანის მოსახლეობას შეხვდება.

ხე-ტყის ჭრაზე დაწესებული მოსაკრებელის რაოდენობა შემცირდება

ხე-ტყის ჭრაზე დაწესებული მოსაკრებელის რაოდენობა შემცირდება. ამის შესახებ 6 სექტემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე გახდა ცნობილი, სადაც ფინანსთა მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა ხე-ტყის რესურსების მოპოვების გადასახადების ახალი კონცეფცია წარადგინა.

ახალი კონცეფციის მიხედვით, მკვეთრად შემცირდება ხე-ტყის კომერციულ და სოციალურ ჭრაზე დაწესებული მოსაკრებელის რაოდენობა და მისი მოცულობა. გარდა ამისა, გამარტივდება ხე-ტყის მოჭრისთვის საჭირო ნებართვების გაცემის პროცედურა.

ამასთან, მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის წარმოების ხელისშემშლელი ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნის აუცილებლობაზე.

ვანო მერაბიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა მსოფლიოში ბიზნესის დაწყების კუთხით, კვლავ უამრავი დაბრკოლება არსებობს საკანონმდებლო დონეზე, რაც ხელს უშლის ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის წევრებს დაავალა სამინისტროებში არსებული რეგულაციების შესწავლა და მათი გამარტივება.

კონფერენცია „თბილისი +35” ჩატარდა

დღეს სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში გარემოს დაცვის მინისტრმა გიორგი ზედგინიძემ UNESCO -ს გენერალურ დირექტორ ქიან ტანგთან და UNEP ის დირექტორ იან დუსიკთან ერთად კონფერენცია „თბილისი +35”-ის ფარგლებში ერთობლივი პრესკონფერენცია გამართა.

„თბილისი+35” კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს 1977 წლის თბილისის დეკლარაციის მნიშვნელობას და წარმოაჩენს მსოფლიოს 35 წლიან „მწვანე ძალისხმევას”. 1977 წლის თბილისის დეკლარაცია გარემოსდაცვითი განათლების ერთ-ერთ საბაზისო დოკუმენტს წარმოადგენს. მან შექმნა გარემოსდაცვითი განათლების განხორციელების ძირითადი ჩარჩო როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების დონეზე. ასევე, თბილისის დეკლარაციამ უზრუნველყო იმ მნიშვნელოვანი მიმართულებების ჩამოყალიბება, რომლებიც შემდგომში გარემოსდაცვითი განათლების სფეროში მიღებულ საერთაშორისო დოკუმენტებში და გლობალურ ინიციატივებში სახელმძღვანელო პრინციპებად იქცნენ.

„თბილისი+35” ტარდება საქართველოს მთავრობის ორგანიზებით. პროექტის პარტნიორები არიან გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP). კონფერენციის მონაწილეები და საპატიო სტუმრები იქნებიან სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი სექტორის მინისტრები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები.

აგვისტოს მონაცემებით ახალი ტექნიკით 1 661 ჰა დამუშავდა

აგვისტოს თვის მონაცემების მიხედვით, ფერმერთა მომსახურების ცენტრებში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ქვეყნის მასშტაბით აგროტექნიკური სამუშაოები 4535,2 ჰა მიწის ფართობზე შესრულდა. მათ შორის: დედოფლისწყარო — 1661 ჰა, აბაშა 83,6 ჰა, ზესტაფონი — 6,2 ჰა, სამტრედია — 13,5 ჰა, გურჯაანი — 472 ჰა, კასპი — 537,9 ჰა, ამბროლაური — 7,5 ჰა, ახალციხე — 232,7 ჰა, ბოლნისი — 242 ჰა, მარნეული — 637 ჰა, ქარელი - 639,8 ჰა, გურია — 2 ჰა).

ხოლო, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესცენტრი იუწყება, ,,აგრეო გეო +“ -ის მაღაზიების მომსახურებით 433-მა ადგილობრივმა მცირე და საშუალო ფერმერმა ისარგებლა. მათ შორის: ზესტაფონი -10, სამტრედია — 35, აბაშა — 16, ოზურგეთი — 148, კასპი — 63, ქარელი -106, გურჯაანი — 34, დედოფლისწყარო — 2, ამბროლაური — 9, ბოლნისი — 9, ახალციხე — 1.

შეგახსენებთ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს 12 რეგიონში გახსნილი ფერმერთა მომსახურების ცენტრები წარმატებით ფუნქციონირებს.

6 რეგიონში ამოქმედდა ექსტენციის ცენტრებიც, სადაც მოსახლეობას სხვადასხვა ლაბორატორიულ მომსახურებასთან ერთად აგრონომისა და ვეტერინარის კვალიფიციური კონსულტაციის მიღება შეუძლია. ადგილზე გახსნილია ,,აგრო გეო+“-ის მაღაზიებიც, სადაც ხარისხიანი სასუქისა და შხამ-ქიმიკატების შეძენაა შესაძლებელი.

შეჯახებას მოზარდი უვნებლად გადაურჩა

29 აგვისტოს საღამოს, ინციდენტი მოხდა ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე. მსუბუქი ავტომანქანა, დედოფლისწყაროში, თბილისის ქუჩაზე მცხოვრებ გვანცა ღ-შვილს დაეჯახა. წინასწარი ინფორმაციით, მძღოლი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა.

როგორც თვითმხილველებმა „შირაქს“ განუცხადეს, 7 წლის გოგონა გზაზე გადარბენას ცდილობდა, რა დროსაც შეჯახება მოხდა.

გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მოზარდი დედოფლისწყაროს სტაციონარში გადაიყვანა.

„პოლიტრავმა იყო, გოგონას მცირე დაზიანებები აღენიშნებოდა. შემოყვანისთანავე ჩაუტარდა შესაბამისი პროცედურები. საგანგაშო და სერიოზული მდგომარეობა არ ყოფილა,“ — განუცხადა „შირაქს“ დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ხელმძღვანელმა ხათუნა ზურიკაშვილმა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ავტომანქანას ქალაქ დედოფლისწყაროში, სადგურის ქუჩაზე მცხოვრები 24 წლის დიმა პოპიაშვილი მართავდა.

მომხდართან დაკავშირებით შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

გზების რეაბილიტაციაზე დედოფლისწყაროში 1,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა

მიმდინარე წელს დედოფლისწყაროში 1,5 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა. ამის შესახებ გაზეთ „შირაქთან" დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარემ და ნაციონალური მოძრაობის დედოფლისწყაროს შტაბის უფროსმა ლევან ბაღაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ისეთი გზებიც კეთილმოეწყო, სადაც ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა.

„მიმდინარე წელს საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტი გვქონდა, რამაც ბევრი საქმის კეთების საშუალება მოგვცა. შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. საბოლოო ჯამში მილიონნახევარ ლარზე მეტი იხარჯება. ქალაქში გადაადგილება გაცილებით კომფორტული გახდა. ძალიან საინტერესო წლები გველის, ბევრი სასიკეთო გეგმა გვაქვს, რომელსაც ეტაპობრივად განვახორციელებთ," — აღნიშნა ლევან ბაღაშვილმა.

ამას გარდა, მოქალაქეთა უსაფრთხოებისთვის ცენტრალურ გზებზე ბარიერები და ღერძულა ხაზის აღმნიშვნელი ნიშნებიც დამონტაჟდა. ბარიერები ცენტრალურ მაგისტრალზე ტრანსპორტის გადაჭარბებული სიჩქარის შეზღუდვას უზრუნველყოფს.

საკრებულოს სხდომაზე

3 სექტემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, მას საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი უძღვებოდა.

თავდაპირველად დეპუტატებმა კენჭი უყარეს საკითხს, „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 2012 წლის მინიმალური სოციალური დახმარების პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დედოფლისწყაროს საკრებულოს №34-ე დადგენილებაში ცვლილებების შეტანის ირგვლივ, რაც ახალშობილთათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გაცემის წესს შეეხებოდა.

ამ საკითხზე მოხსენება წარადგინა დედოფლისწყაროს გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსმა ივანე ხელაშვილმა. ცვლილებების მიხედვით, ახალშობილთათვის ფულადი ჯილდოს გაცემის წესზე ყველანაირი შეზღუდვების მოხსნას ითვალისწინებს. საკითხს დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს, შედეგად კი, ამიერიდან, ყველა დედოფლისწყაროელ ახალშობილზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადად 300 ლარი გაიცემა.

სხდომამ ცვლილებები შეიტანა, ასევე, „2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის" შესახებ საკრებულოს №85-ე განკარგულებაში.

ასევე, განსახილველად გამოვიდა საკითხი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების შესახებ. კერძოდ, 7 103 კვადრატული მეტრი არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვებულად გამოცხადდა.

ბოლო საკითხად საკრებულოს დეპუტატებმა დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარის ლევან ბაღაშვილის შვებულებაში გასვლა განიხილეს. ბაღაშვილის განმარტებით, წინასაარჩევნოდ შვებულებაში გასვლა გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტა.

„წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება მანამდეც მქონდა, რადგან ვარ ნაციონალური მოძრაობის დედოფლისწყაროს შტაბის უფროსი და ასევე საკრებულოს წევრი ნაციონალური მოძრაობის სიით. ანუ, ამ მხრივ კანონი არ მზღუდავდა. თუმცა, იმის გამო, რომ ზოგიერთი ჩვენი ოპონენტი ამას არ ითვალისწინებს და არც კანონს კითხულობს, მივიღე გადაწყვეტილება შვებულებით ვისარგებლო. ამით კი მოსალოდნელ გაუგებრობებს თავიდან ავიცილებთ. აქვე გეტყვით, რომ ადმინისტრაციული რესურსი არც აქამდე გამომიყენებია და, ცხადია, არც შვებულების პერიოდში გამოვიყენებ," — განუცხადა გაზეთ „შირაქს" ლევან ბაღაშვილმა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საკრებულოს თვმჯდომარის მოვალეობას 4 სექტემბრიდან ლევან ბაღაშვილის მოადგილე, ზაზა ფიროსმანაშვილი ასრულებს.

ბაღაშვილი კუთვნილი შვებულებით 30 დღის განმავლობაში ისარგებლებს.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროში მრავალსართულიანი კორპუსების ფასადებს ღებავენ

ბოლო რამდენიმე დღეა, ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე მრავალსართულიანი ბინების გარე ფასადების შეღებვა აქტიურად მიმდინარეობს.

გაზეთ „შირაქის" ინფორმაციით, ფასადები რაიონული ცენტრის გარდა სოფელ ხორნაბუჯში მდებარე საცხოვრებელ კორპუსებსაც გაულამაზეს.

„დედოფლისწყაროში ოცდაერთი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოების დასრულება სექტემბრის ბოლოსთვისაა დაგეგმილი"—აღნიშნეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურში.

ადგილობრივი მაცხოვრებლები ამ მოვლენას პოზიტიურად აფასებენ, კმაყოფილებას გამოთქვამენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მიმართ და იმედს გამოთქვამენ, რომ დედოფლისწყაროს კეთილმოწყობისთვის კიდევ უამრავი რამ გაკეთდება.

„ყველა ქალაქში კორპუსების ფასადები გალამაზებული იყო, ჩვენს რაიონში კი წლების მანძილზე უყურადღებოდ იყო. მოხარულნი ვართ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩვენი საცხოვრებელი ბინების ფასადების შელამაზებაზეც იზრუნა. დამეთანხმებით, რომ ამ სიახლემ ქალაქი ძალიან დაამშვენა," — აცხადებენ დედოფლისწყაროელები.

მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატი ზაზა კედელაშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს. ის ქალაქ დედოფლისწყაროს ერეკლე მეორისა და თამარ მეფის ქუჩების მოსახლეობას შეხვდა, სადაც მან დაწვრილებით გააცნო მოსახლეობას ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პროგრამა და გამარჯვებისშემდგომი გეგმები. ,,გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტში ყველანაირად ვეცდები, გავაკეთო ყველაფერი, რაც რაიონს სასიკეთოდ წაადგება. პირველი ეს იქნება ქოჩების ტბის ტერიტორიის მაღალ დონეზე გაკეთება, შევქმნით სამუშაო ადგილებს. პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის ინიციატივით, საქართველოში აშენდება ასამდე ახალი საწარმო, საიდანაც 10 საწარმო მაინც დედოფლისწყაროში აშენდება, რაც საბოლოო ჯამში შექმნის ასობით სამუშაო ადგილს. ეს მოგვცემს საშუალებას, დავასაქმოთ ადგილობრივი მოსახლეობა. არ მინდა წინასწარ ვისაუბრო დაპირებებზე,უამრავი კარგი იდეა მაქვს, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში განვახორციელებ. მხოლოდ ერთს გთხოვთ, ნუ მისცემთ გასაქანს პრორუსულ ძალებს, რომლებსაც მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებთ, აშენებული ქვეყანა ჩაიგდონ ხელში და ქვეყანაში კვლავ ქურდობა და ნარკომანია დააბრუნონ. ამჯერად ჯერი თქვენზეა, ამიტომ მოგიწოდებთ ხალხს ჩვენი თანადგომისკენ, რათა ქვეყანამ უკან არ დაიხიოს და საქართველოს აღმშენებლობის პროცესი გაგრძელდეს."-აღნიშნა კედელაშვილმა.

ადგილობრივმა მოსახლეობამ კედელაშვილს გზის და გარეგანათების საკითხის მოგვარება სთხოვა.

შეხვედრით კმაყოფილი ქალაქ დედოფლისწყაროს ერეკლე მეორის და თამარ მეფის ქუჩების მოსახლეობა იმედს გამოთქვამდა, რომ მათი დიდი ხნის სურვილი მომავალ წელს რეალობად იქცევა.

ლალი მეხრიშვილი

„ახალ მემარჯვენეებს" დედოფლისწყაროში კანდიდატი აღარ ეყოლებათ

„ახალი მემარჯვენეების" საგიტაციო ავტობუსი საქართველოს მასშტაბით მოძრაობას აღმოსავლეთ საქართველოდან — კერძოდ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან იწყებს. „სამშვიდობო მარშის" ფარგლებში მემარჯვენეები აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოსკენ ერთი თვის განმავლობაში ყველა ქალაქს და რაიონს მოივლიან. ავტობუსში ახალგაზრდებთან ერთად პარტიის ლიდერი დავით გამყრელიძე, ფიქრია ჩიხრაძე და მამუკა კაციტაძე იმყოფებიან.

პირველი შეხვედრა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში გაიმართა. შეხვედრას ახლების დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელი სოსო ბეჟანიშვილი და ადგილობრივებიც ესწრებოდნენ.

"ახალმა მემარჯვენეებმა" აღნიშნეს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში დედოფლისწყაროში უკვე მეორედ იმყოფებიან.

„ჩვენ ჩვენი „სამშვიდობო მარში" დედოფლისწყაროდან დავიწყეთ და ასე, მშვიდობიანად შემოვივლით მთელ საქართველოს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოში სოფლადაც და ქალაქადაც შეძლებული ოჯახები მომრავლდეს,"— განაცხადა დავით გამყრელიძემ.

დედოფლისწყაროდან მემარჯვენეების ავტობუსი სიღნაღისკენ გაემართა. მათ რთველში მიიღეს მონაწილეობა, შემდეგ კი პარტიის წევრებმა გურჯაანში გადაინაცვლეს.

პარადოქსული აღმოჩენა — „ახალი მემარჯვენეების" დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოსო ბეჟანიშვილი, რომელიც 17 ივლისს დავით გამყრელიძემ თელავში გამართულ პრეზენტაციაზე ოფიციალურად დაასახელა, ცესკო-ში ოფიციალურად რეგისტრირებული არ არის. გაზეთ „შირაქის" ინფორმაციით, სოსო ბეჟანიშვილმა არჩევნებში კენჭისყრა გადაიფიქრა.

პარტიის ლიდერის, დავით გამყრელიძის განმარტებით, მათი პარტიის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელი მაჟორიტარული სისტემით იბრძოლებდა. თუმცა, დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიაში ადასტურებენ, რომ ბეჟანიშვილს რეგისტრაცია არ გაუვლია. რეგისტრაციის ვადა კი დასრულებულია.

სოსო ბეჟანიშვილმა გაზეთ „შირაქთან" საუბარში არ დამალა, რომ პრეზენტაციისა და კანდიდატურის საჯაროდ დასახელების შემდეგ ცესკო-ში დარეგისტრირება აღარ უცდია. თუმცა, მიზეზებზე კომენტარის გაკეთება სამომავლოდ გადადო.

ბეჟანიშვილი მაჟორიტარ კანდიდატად დედოფლისწყაროში 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც იღებდა მონაწილეობას.

ილია მარტყოფლიშვილი

NDI-ს კვლევის მიხედვით, რეიტინგში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ლიდერობს

კვლევის თანახმად, რომელიც დღეს NDI-ს თბილისის ოფისის ხელმძღვანელმა, ლუის ნავარომ გააჟღერა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მოწონების მაჩვენებლები გაიზარდა, ოპოზიციის კი შემცირდა. კითხვაზე, მოგწონთ თუ არა ესა თუ ის პიროვნება, 62% ვანო მერაბიშვილმა მიიღო (წინა კვლევასთან შედარებით +7%), მიხეილ სააკაშვილმა - 61% (+3%), გიგი უგულავამ — 58%, დავით ბაქრაძემ - 55%, გიორგი თარგამაძემ — 49%, ინგა გრიგოლიამ — 41%, ბიძინა ივანიშვილმა — 39% (-7%).

კვლევის მიხედვით, რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს, გამოკითხულთა 38% "ნაციონალურ მოძრაობას" ასახელებს (წინა კვლევასთან შედარებით +4%), 14% - კოალიცია "ქართულ ოცნებას" (-6%), პასუხზე უარს აცხადებს - 18%, არ იცის - 16%-მა, 9% ამბობს, რომ მის შეხედულებებთან ახლოს არც ერთი პარტია დგას, 4% კი ასეთად "ქრისტიან-დემოკრატებს" ასახელებს, 1% - სხვა ოპოზიციას.

კითხვაზე, მოგწონთ თუ არა ესა თუ ის პიროვნება, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე რესპონდენტთა 91%-მა დაასახელა.

პარტიების რეიტინგი ასე გადანაწილდა: „ნაციონალური მოძრაობა" - 37%, „ქართული ოცნება" - 12%, ქდმ - 3%.

ხოლო კითხვაზე, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, შედეგები ასე გადანაწილდა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 37%; "კოალიცია „ქართული ოცნება" - 12%; „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" - 3%. არ ვიცი - 22%, არც ერთს-3%, პასუხზე უარი თქვა 16%-მა.

რაც შეეხება პოლიტიკური ლიდერების საქმიანობას, NDI-ს თბილისის ოფისი ხელმძღვანელის, ლუის ნავაროს თქმით, ამ შეკითხვებზე საკმაოდ მაღალია „არ ვიცი" პასუხის კატეგორია, რაც მიუთითებს, რომ მოქალაქეები ამა თუ იმ პირის საქმიანობას არ იცნობენ ან მათ შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა 31 ივლისიდან - 12 აგვისტოს პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2038 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგელობითი შერჩევის საფუძველზე.

კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (შიდა) და ატარებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).

საქართველოში ქრისტეს დაბადებამდე წურავდნენ ღვინოს...



მინი დოსიე- ნოდარ ბაღაშვილი 1940 წლის 1 ოქტომბერს დაიბადა, საშუალო სკოლა 1958 წელს დაამთავრა, შემდეგ ქუთაისის სასოფლო—სამეურნეო ინსტიტუტში ტექნოლოგიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩააბარა, იმავე წელს მუშაობა დაიწყო თელავის რაიონის სოფელ წინანდლის ღვინის ქარხანაში მუშად, სადაც 1962 წლის ივლისამდე დაჰყო, 1962 წლიდან 1966 წლამდე მუშაობა განაგრძო ტარიბანის ღვინის ქარხანაში მუშად.იმავე წელს დაამთავრა ინსტიტუტი, რომლის პარალელურად გადაიყვანეს მეღვინე ბრიგადირად, შემდეგ მეღვინედ, ხოლო 1968 წლიდან ტარიბანის ღვინის ქარხნის უფროს მეღვინედ მუშაობს. 1975 წლის ივლისიდან დაინიშნა წითელწყაროს ღვინის ქარხნის დირექტორად, სადაც 1983 წლის ბოლომდე იმუშავა. ყველაფრის პარალელურად 1964 წლიდან მუშაობდა ხარისხის ინსპექტორად პურ-პროდუქტების სამინისტროს წითელწყაროს განყოფილებაში, იყო სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერ-ტექნოლოგი. 1992 წელს სოფელმა წარადგინა და კენჭი იყარა არბოშიკის დეპუტატად, შემდეგ კი, მოსახლეობის არჩევით გახდა არბოშიკის პირველი გამგებელი. ამჟამად ნოდარ ბაღაშვილი არის პენსიონერი, ჰყავს მეუღლე ნანა ალადაშვილი, ორი ვაჟიდან ერთი გარდაეცვალა, რამაც მის ცხოვრებას დიდი დაღი დაასვა, სამაგიეროდ ნოდარ ბაღაშვილი სამი შვილიშვილის, ორი გოგონას და ერთი ვაჟის პაპაა.

სულ ახლახანს სოფელ არბოშიკის მკვიდრი, ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი, პროფესიით მეღვინე ნოდარ ბაღაშვილი კახეთის მხარის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა ღირსების მედლით დააჯილდოვა. ჩვენი სტუმრობისას იგი არბოშიკის ეგრეთწოდებულ, „ბირჟაზე“, თანასოფლელებთან საუბარში გართული დაგვიხვდა. როგორც თავად ამბობს, ასაკში შევიდა და ცხოვრების უმეტეს ნაწილს სწორედ თანასოფლელებთან მუსაიფში ატარებს. ღირსების მედლით დაჯილდოვება მივულოცე და ვთხოვე, ორიოდე სიტყვა ეთქვა თავისი ცხოვრების შესახებ. უშუალო საუბარი შედგა.

-ბატონო ნოდარ, მოდით დავიწყოთ იმით, თუ როგორ შეფასებას მისცემდით თქვენს მიერ განვლილ ცხოვრებას?

-ჩემს მიერ განვლილ ცხოვრებას არ ვემდური, საკმაოდ საინტერესო ცხოვრება მქონდა, რომ არა ამ სიბერეში შვილის სიკვდილით გამოწვეული უბედურება, თავს ბედნიერ კაცად ჩავთვლიდი. სოფელში ცუდი ავტორიტეტი არა მაქვს, ბევრი სასიკეთო საქმე მიკეთებია, მაშინ სკოლას ჩემი თანხებით გათბობის საქვაბე სისტემა დავუმონტაჟე, სამუსიკო სკოლას ჭერის მასალა გამოვუგზავნე, მაშინდელი ჭერი იმდენი ხანი მოჰყვა შენობას, რომ მხოლოდ წელსღა გამოცვალეს. საერთოდ, დღევანდელ ახალგაზრდებს მინდა ვუთხრა, რომლებიც, რატომღაც, ნაკლებად ინტერესდებიან ღვინის ტექნოლოგიით მეღვინეობა კაცური საქმეა, როცა ოჯახიც კმაყოფილი გყავს, ძმაკაციც, ნათესავიც და ყველა გარშემომყოფიც. ყველაფერს ვახერხებდი, რომ არავინ უმადური არ მყოლოდა, ვფიქრობ, რომ ჩემს სოფელს ვუყვარვარ და მაფასებს, ამიტომაც ამირჩიეს ერთხმად სოფლის გამგებლად 1992 წელს.

-როგორი იყო თქვენი განწყობა, როდესაც ღირსების ორდენი გადმოგეცათ?

-ოთხი- ხუთი თვის წინ დამიძახეს, ჩემი პირადობა, დიპლომი და ავტობიოგრაფია მოითხოვეს და წაიღეს. წარმოდგენა არ მქონდა, რა ხდებოდა. და აგერ, თვეების შემდეგ, დამიძახეს და ამხელა ჯილდო გადმომცეს. რა თქმა უნდა, სისიხარულოა, როცა ეს პენსიონერი, თითქმის დავიწყებული კაცი გამიხსენეს და დამაფასეს, მადლობის მეტი რა მეთქმის. მე კომუნისტების დროს მომიწია მოღვაწეობამ და მათგან უფრო მქონდა მოლოდინი, რომ დამაფასებდნენ, მაგრამ მაშინდელი შრომისთვის ამ ხელისუფლებამ უფრო დამაფასა და მადლობა მათ ამისთვის.

— როგორ შეფასებას მისცემდით დღევანდელ წინასაარჩევნო გარემოს?

- როგორ გითხრათ,ბოლო დროს ხედავთ, რომ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, ცხოვრება წინ მიდის, რომ ამბობენ გაჭირდაო, რანაირადაა ასე, წინათ სოფელში ერთეულებს თუ ჰქონდა ავტომანქანა, ახლა კი, ყოველი მეორე უცხოური მანქანით დადის. განა ეს გაჭირვებაა?! ყველაფერი ერთ დღეს არ აშენდება. კაცი უმადური არ უნდა იყო. ზოგი თვითონ ბუნებით არის ისეთი, რომ ყველაფერს კრიტიკულად უყურებს. რეფორმებს ყოველთვის მოსდევს ლაფსუსები, ადამიანმა ნორმალურად უნდა იაზროვნოს და შეფასების უნარი უნდა ჰქონდეს— ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

- ჩვენი დეპუტატობის კანდიდატზე ,ზაზა კედელაშვილზე რას იტყვით?

- ის არბოშიკის მოსახლეობას შეხვდა, მიმაჩნია, რომ ზაზა კარგი პიროვნებაა, ის სამგზის ევროპის ჩემპიონია, ეს პატარა ამბავი როდია, ის ჩვენი ბავშვების იდეალია, არბოშიკელი ბიჭებიც დადიან ჭიდაობაზე ზემო მაჩხაანში, უნდათ ზაზასთვის ეთხოვათ, სავარჯიშო დარბაზი აქ, ამ სოფელში გაუკეთონ მომავალში, მჯერა ის ამას გააკეთებს, მჯერა ზაზას ბევრი ბიჭი მიბაძავს სპორტულ კარიერაში.

- როგორც ღვინის ტექნოლოგს, არ შემიძლია არ გკითხოთ, რას იტყვით ქართულ ღვინოზე, მის ხარისხზე და დღეს არსებულ წარმოებაზე?

- რა გითხრათ, 7 ჰექტარი ვენახი მქონდა, საუკეთესო ჯიშის საფერავითა და რქაწითელით, ჩემი ხელით ნაფერები, ვეღარ ვუვლიდი და ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, გამეყიდა, ახალგაზრდა ვაჟკაცმა იყიდა, მაგრამ, რომ ვხედავ, ისეა მიგდებული ვენახი, გული მეთუთქება. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ახალგაზრდებს ნაკლებად აინტერესებთ ვაზი, ვენახი და მისი მოვლა. მათში ინტერესი დაიკარგა, ამიტომ ვენახის მოვლით და ღვინის წარმოებით ნაკლებად ინტერესდებიან, სადღაა ქართული ღვინო! 1962 წელს ჟურნალ „სოფლის მეურნეობაში” იტალიელი პროფესორი გვარად დელმირო სწერდა, საქართველო ეს ის ქვეყანაა, სადაც ქრისტეს დაბადებამდე მზადდებოდა ჩვენი დღევანდელი ხარისხის ღვინოებიო!-ამაზე უკეთესი და კარგი რაღა უნდა ითქვას და დაიწეროს ქართულ ღვინოზე?! მაგრამ დღეს მსოფლიოში საუკეთესო ღვინოებად პირველ ადგილზე დგას იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი და გერმანია. მსოფლიო დეგუსტატორებადაც მათი წარმომადგენლები ითვლებიან. მათი ღვინოები მომწიფებას ვერ ასწრებენ —16 გრადუსამდე ძლივს აჰყავთ, (მაშინ, როცა ქართული ყურძნის შაქარი 22 -ს, ტარიბნის კი, 32 - საც აღწევს.) დანარჩენს შაქრით ატკბობენ, მაგრამ მათ ტექნოლოგიები აქვთ ისეთი, რომ თეთრ ღვინოებს აკეთებენ, ქართულ ტრადიციული წესით დამზადებულ ღვინოებს კი, რომელსაც გრადუსიც ნამდვილად მაღალი აქვს და ტრადიციულად ჭაჭაზეა გაფილტრული, გვერდზე სდებენ შეფერილობის გამო, რომელიც სინამდვილეში სულაც არაა მათი დასაწუნი, მაგრამ თავიანთი ქვეყნის ბიზნესი რომ არ ჩააგდონ, ასე გვჩაგრავენ. მედიცინაში არსებობს დარგი - ენთოლოგია, რომელიც ღვინით მკურნალობას ნიშნავს. ქართული ღვინო შეიცავს PP ვიტამინს, ნიკოტინის მჟავას, რომელიც სისხლძარღვებს აფართოებს და ამით დაავადებათა რიცხვს ამცირებს ორგანიზმში. ამიტომაა, რომ კახელი კაცები ჯანმრთელები ვართ და დაავადებებიც ნაკლებად გვაწუხებს. მათმა ღვინომ კი, რა უნდა განკურნოს,სინამდვილეში მაღალ ტექნოლოგიებზე დამზადებულ ფალსიფიცირებულ შაქარწყალსა სავამენ. ის ნამდვილი ღვინო არაა! ნაღდი ღვინო ქართული ღვინოა! არასოდეს სამარკო მასალად რომ არ შერჩეულა ტიბაანი, 1976 წლის მოსავალზე ცალკე დავაყენეთ ენამთის ყურძნისგან 10 000 დეკალიტრი სამარკო ტიბაანის მასალა და მას მერე „ტიბაანი“ ყოველთვის მსოფლიო დეგუსტაციაზე ოქროს მედლებს იღებდა. აი, ღვინო ის იყო. იმედი მაქვს, ამ საკითხს მომავალში მიეხედება და ჩვენი სოფლის მეურნეობაც აღდგება. ჩვენ, ქართველები, ძლიერი ერი ვართ და ჩვენს დაჩაგვრას არავის დავანებებთ, არავისი შემოტანილი არ გვინდა არაფერი, ჩვენ ყველაფერი უნიკალური გვქონდა,- ქართული ჯიშის ცხვარი გვყავდა, ქართული ჯიშის ღორი, ქართული ჯიშის ძროხა, რომლებსაც მომგებიანობის კუთხით ვერაფერი შეედრებოდა. ქართულ რქაწითელს და ქართულ დოლის პურს ხომ ბადალი არ ჰყავს, ეს ყველაფერი თითქმის დაიკარგა, გადაჯიშდა, მაგრამ, ჩვენ ისეთი ძლიერი ხალხი ვართ, ყველაფერ ამას აღვადგენთ, რამდენიმე წელიწადში საქართველოში სოფლის მეურნეობა აყვავდება, ყოველ შემთხვევაში, მე მინდა, რომ ამის მჯეროდეს!

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია კიდევ ერთხელ ულოცავს ნოდარ ბაღაშვილს მისი მრავალმხრივი და საინტერესო მოღვაწეობის ღირსეულად დაფასებას და ღირსების ორდენით დაჯილდოვებას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს მას!

ლალი მეხრიშვილი

მირზაანის სკოლის ეზოში ავარიული შენობის დემონტაჟი მოხდა

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის საჯარო სკოლის ეზოში ავარიული შენობის დემონტაჟი უკვე განხორციელდა. ახალი სასწავლო წლიდან, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა დაიწყოს, მირზაანელი მოსწავლეების სიცოცხლეს საფრთხე აღარ დაემუქრება. - ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ სოფელ მირზაანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ზურაბ დათუკიშვილმა აცნობა.

გაზეთი „შირაქი“ უკვე წერდა, რომ სკოლის ეზოში არსებული ასწლოვანი შენობა მოზარდების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა და დიდი იყო ალბათობა, ნებისმიერ დროს ჩამონგრეულიყო. სკოლის ახლანდელი შენობის აგებამდე სოფლის სკოლა იმავე ეზოში მდებარე ძველ შენობაში იყო განთავსებული. ბოლო წლების მანძილზე შენობა უფუნქციოდ იყო დარჩენილი და დემონტაჟს საჭიროებდა. უამინდობა კი საფრთხის ალბათობას ყოველდღიურად ზრდიდა.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის სჯარო სკოლის პედაგოგები სკოლის ეზოში ავარიული შენობის დემონტაჟს ითხოვდნენ. მათი პრობლემის აღმოფხვრის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან წერილობითი ნებართვა ითხოვეს.

როგორც სოფლის რწმუნებულმა ზურაბ დათუკიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სამინისტროდან დადებითი პასუხის შემდეგ შენობის დემონტაჟის ტექნიკურ მხარეზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ იზრუნა და პრობლემა აღმოფხვრა.

„შიში გვაქვს, რომ ბავშვები ამ შენობაში არ შევიდნენ და მოულოდნელად ტრაგედია არ განმეორდეს. მოგეხსენებათ, რამდენიმე თვის წინ, თელავის ერთ-ერთ სკოლაში ძველი შენობის ჩამონგრევას მოზარდის გარდაცვალება მოჰყვა. ამის გამო დასვენებაზეც არ ვაძლევთ ბავშვებს უფლებას, რომ ეზოში თავისუფლად ითამაშონ. შესვენების დროსაც ვერ ვტოვებთ უყურადღებოდ და სპეციალურად ვმორიგეობთ. გაასმაგებული მეთვალყურეობა გვაქვს, მაგრამ ყველაფერი ხდება, ბავშვს ვერ დააკავებ. რაც სკოლის ახალი შენობა აშენდა, მას შემდეგ ეს ასე უფუნქციოდ დარჩა. წინა მხარე სულ ჩამოშლილია, კედლები გარღვეულია“, - აცხადებდნენ პრობლემით შეწუხებული სკოლის პედაგოგები, რომლებსაც ახლა დამშვიდების საშუალება მიეცათ.

შეგახსენებთ, სკოლამ ფუნქციონირება 2011 წლის სექტემბრიდან განაახლა. სოფელ მირზაანის სკოლას დამოუკიდებელი სტატუსი არ აქვს, ის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის დაქვემდებარებაში რჩება. სკოლის დახურვა მირზაანში მიგრაციის დაწყების მთავარ მიზეზად იქცა. გასულ სასწავლო წელს სკოლაში 27 მოსწავლე ირიცხება. სკოლის გახსნამდე მირზაანში მცხოვრებ ახალგაზრდებს განათლების მისაღებად ყოველდღიურად მეზობელი სოფლის, ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში სიარული და კილომეტრების გავლა უწევდათ. სოფლის მოზარდების ნაწილი ისევ ზემო მაჩხაანის სკოლაში ირიცხება.

2006 წელს სოფელ მირზაანის საჯარო სკოლა ოპტიმიზაციის პროგრამის შედეგად დაიხურა და სოფელ ზემო მაჩხაანის სკოლას შეუერთდა. ამჯერად, სკოლის აღდგენის შემთხვევაშიც მირზაანის სკოლა კვლავაც ზემო მაჩხაანის სკოლის დაქვემდებარებაში დარჩება, თუმცა, სასწავლო პროცესი სოფელ მირზაანში წარიმართება. თავის დროზე, მირზაანში სკოლის გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად მოსწავლეთა კონტიგენტის სიმცირე დასახელდა, თუმცა ამჯერად კონტიგენტის სიმცირის პირობებში სკოლის აღდგენის აუცილებლობა ისევ წარმოიშვა.

ადგილობრივმა მოსახლეობამ სკოლის აღდგენის მოთხოვნით საპროტესტო აქციები რამდენჯერმე გამართა, წერილობითი მოთხოვნა არაერთ უწყებაში გაიგზავნა, თუმცა უშედეგოდ. სოფლის მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ ნიკო ფიროსმანის მშობლიურ სოფელში სკოლის არარსებობამ მირზაანი დაცლის საფრთხის წინაშე დააყენა. სკოლის გაუქმების შემდეგ, სოფელი არაერთმა ოჯახმა დატოვა. ნაწილი საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდა, ზოგმაც სხვა გამოსავალი მოძებნა.

ილია მარტყოფლიშვილი

მწვანე გამოფენა

2012 წლის 29 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე სამხატვრო გალერეა „ბაიაში“ მოეწყო ბავშვთა ნახატების გამოფენა გარემოსდაცვის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე გარემოსდაცვითი განათლების კვირეულის ფარგლებში (27 აგვისტო - 2 სექტემბერი, 2012 წელი). გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ ბავშვები საქართველოს შვიდი მუნიციპალიტეტიდან: დედოფლისწყარო, სიღნაღი, საგარეჯო, ბოლნისი, დმანისი, მარნეული და ნინოწმინდა; აგრეთვე სომხეთის, ლორის მარზიდან.

გამოფენის ორგანიზატორია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გარემოსდაცვითი პროგრამა, ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაცია Mercy Corps და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN.

როგორც ორგანიზაციიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, პროგრამის თემატიკა შეეხება კლიმატის ცვილებებთან ადაპტაციის, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხებს. სწორედ აღნიშნულ თემატიკას მიეძღვნა ბავშვთა ნახატების გამოფენა, რომელიც მიზნად ისახავს ამ საკითხების გარშემო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და განათლებას. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პროგრამის მიზნობრივ რეგიონებში მცხოვრები ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვების ნამუშევრები, რაც დიდი მოწონებით სარგებლობდა როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ დამთვალიერებლებს შორის.

კვირეულის ოფიციალური დახურვის ცერემონიალზე Courtyard Marriott-ში ორგანიზაცია Mercy Corps-ს კვირეულში მონაწილეობისათვის გადაეცა გარემოსდაცვის სამინისტროს მადლობის სიგელი.

პროგრამის მიერ ამ ღონისძიების ჩატარების შესახებ ინფორმაცია შეიძლება იხილოთ გარემოსდაცვითი კვირეულის მესვეურთა მიერ გამოცემულ საინფორმაციო ბუკლეტში, ხოლო ბავშვთა ნახატების გამოფენა გაშუქდა საქართველოს საპატრიარქოს სატელევიზიო არხზე „ერთსულოვნება“ საინფორმაციო გადაცემაში „სიახლენი“

მოსწავლეები ამერიკულ კულტურას და განათლებას ეცნობიან

დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისის ინიციატივით საზაფხულო ბანაკი გაიხსნა, რომელიც ხუთი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და ქართული და ამერიკული სკოლების განსხვავებებზე, უპირატესობებზე და სასწავლო პროცესის თავისებურებებზე იყო ორიენტირებული.

ბანაკის პირველი დღე გაიხსნა პრეზენტაციით „ამერიკული უმაღლესი სკოლის კულტურა“, რომელიც №1 საჯარო სკოლის მოხალისე პედაგოგმა **ჯონათან ბრენდსმა** მხოლოდ ინგლისურ ენაზე წარმოადგინა. სპეციალურად ამ დღეებისთვის დედოფლისწყაროში კიდევ ერთი უცხოელი მასწავლებელი **ჯეისონ ბოიდი** ჩამოვიდა, რომელიც პროცესში აქტიურად ჩაერთო.

პრეზენტაციის შედეგად მოსწავლეები ამერიკულ კულტურას დეტალურად გაეცნენ. დასასრულს შედგა თინეიჯერების ცხოვრების ამსახვილი ფილმის ჩვენება. შემდეგ კი სპორტული თამაშები გაიმართა.

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გარდა საზაფხულო ბანაკში მონაწილეობდნენ მოსწავლეები დედოფლისწყაროს №2 და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლიდანაც.

მოსწავლეები მშვიდობის კორპუსის მოხალისის დედოფლისწყაროში საქმიანობას დადებითად აფასებენ და კმაყოფილებას გამოხატავენ.

„მას შემდეგ, რაც ჩვენს სკოლაში მშვიდობის კორპუსის წარმომადგენელი ჯეკ ბრენდსი ჩამოვიდა, თითქმის მთელი წელი და განსაკუთრებით კი ზაფხულის სეზონზე ძალიან ბევრი აქტივობა იყო. დღევანდელი ღონისძიებაც ჯეკის ერთ-ერთი პროექტის ნაწილია. თემა იყო ამერიკული და ქართული სკოლის სისტემა. ჯეკს ჰყავდა თავისი ამერიკელი მეგობარი, რომელიც ეხმარებოდა. ძალიან საინტერესო იყო ჩვენთვის გაგვეგო, რა სისტემით სწავლობენ სკოლაში მოზარდები, რა უპირატესობები აქვს მათ სისტემას ჩვენი სწავლის პროცესთან და პირიქით. პირველ დღეს უფროსი ასაკის მოსწავლეებისთვის გაიმართა პრეზენტაცია, ხოლო შემდეგ დღეებში შედარებით დაბალი კლასებისთვის. გულწრფელად გითხრათ, ყველა მონაწილე ძალიან კმაყოფილია, რადგან ასეთი დეტალური ინფორმაციის მიღება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დაწვრილებით გავეცანით ამერიკულ კულტურას და ეს ბევრს ნიშნავდა ჩვენთვის,“ - აცხადებს მონაწილე მერი ქადაგიძე.

საზაფხულო ბანაკის დადებით შედეგებზე საუბრობს დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის თვითმმართველობის პრეზიდენტი **სოსო ჩუთლაშვილი** და იმედს გამოთქვამს, რომ სულ მალე საქართველოს განათლების სფეროც ამ სისტემაზე გადავა.

„საზაფხულო ბანაკები ჩვენს სკოლაში უკვე მეორე წელია იმართება. შარშან ზაფხულშიც გვქონდა საზაფხულო ბანაკი, სადაც როკმუსიკის ისტორიას და ტიპებს გავეცანით, წელს კი ამერიკულ კულტურასთან დაახლოების ბანაკი გვაქვს. შევისწავლით, თუ როგორი სისტემით არის განათლება ამერიკაში და რა უპირატესობები აქვს. მინდა გითხრათ, რომ ბავშვების უმრავლესობას პრეზენტაცია ძალიან მოეწონა. ძალიან ბევრს გვაქვს სურვილი, რომ მომავალში ქართული განათლების სფეროც გადავიდეს ამ სისტემაზე. ჩვენი სკოლის გარდა, საზაფხულო ბანაკში სხვა სკოლის აქტიური მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. ჯეკ ბრენდსს ძალიან მოსწონს როგორც ჩვენს, ისე სხვა სკოლის მოსწავლეებთან ურთიერთობა. მას იმედი აქვს, რომ მსგავსი პროექტები მომავალშიც გაგრძელდება და, რაც მთავარია, სხვა სკოლების მოსწასვლეები კვლავაც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ სოსო ჩუთლაშვილმა.

მშვიდობის კორპუსის მოხალისე ჯონათან ბრენდსი დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში უკვე მეორე წელია, მუშაობს.

ირაკლი კოკილაშვილი
ბანაკის მონაწილე

მკითხველი გვეხმაურება

თქვენც დაბერდებით

ძვირფასო რედაქცია, ამ წერილს თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველები გწერთ, ისინი, ვინც ათეული წლებია, მოსდევს ამ გაზეთს, მისი ავ-კარგით დაინტერესებულია და გულწრფელად გგულშემატკივრობთ. ვიცით, რა რთული დღეები გამოგივლიათ, როგორი ბრძოლითა და დათმენით მოგიტანიათ დღემდე ეს გაზეთი. რომელიც, ალბათ, ერთადერთია, რაც ახალი ცხოვრების შენების დროს არ დაინგრა, არ დაიშალა, პირიქით, ცხოვრებას ფეხი აუწყო და ყოველწლიურად უმჯობესდება როგორც შინაარსობრივად, ასევე ვიზუალურად. ამისთვის დიდი მადლობა თქვენს კოლექტივს. ჩვენ ის მკითხველები ვართ, ვინც გაზეთის არცერთ სტრიქონს წასაკითხს არ ტოვებს, ვინც გარესამყაროს ამ გაზეთით უკავშირდება და ვერც წარმოუდგენია მის გარეშე არსებობა. ჩვენ ის მკითხველები ვართ, ვისაც საკუთარი პენსია წამლებშიც კი არ ყოფნის, მაგრამ მაინც ახერხებს, იყოს თქვენი ხელმომწერი. ჩვენც ყველა თავის დროზე მოსამსახურეები ვიყავით, რაიონის აქტივს წარმოვადგენდით, ცხოვრების შუა გულში ვტრიალებდით, მაგრამ ასაკმა და დღევანდელი ცხოვრების ნორმებმა ოჯახებში ჩაგვკეტა.

გულწრფელად გეტყვით, ძალიან მოგვწონს თქვენი გაზეთი, ზოგიერთ წერილს ორ-სამჯერ ვკითხულობთ და ხანდახან ვინახავთ კიდეც, მაგრამ არ შეგვიძლია, არ გამოვეხმაუროთ 24 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ ქალბატონი ლალი მეხრიშვილის წერილს „ყველამ ვიცით სად არის ბაზარი! „ბევრი საინტერესო წერილის ავტორია ლალი, ბევრ ისეთ თემაზე წერს ხოლმე, გული რომ მოგეფხანება, მაგრამ ამ წერილში გატარებულ აზრს ვერასგზით ვერ დავეთანხმებით.

ის უკმაყოფილოა ქუჩაში მოსიარულე მოვაჭრეებით, მაგრამ ქუჩაში მოსიარულე მანქანებით ვაჭრობა გაცილებით მოსახერხებელია მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის და აი, რატომ: - ჯერ ერთი, პროდუქტი კარებზეა მოტანილი და ბაზარში წასვლაზე აღარც ენერგია გვეხარჯება, აღარც დრო, მით უმეტეს, ხანდაზმულ ადამიანებს სად შეგვიძლია ორ -სამ კილომეტრზე ბაზარში სიარული და იქიდან პროდუქტის ხელით წამოღება, მანქანა ყველას ხომ არა ჰყავს! ქუჩა-ქუჩა დამტარებლები, ძირითადად, საკუთარ პროდუქციას ჰყიდიან და მათ რომ შეევაჭრები- ფასი დამიკელიო, ამრეზით, ისე, როგორც ბაზარში არ მოგაგეგებენ - მე თვითონ ამდენი მაქვს გადახდილი და აქ ტყუილად ხომ არ ვდგავარ, რაღაც ხომ უნდა დამრჩესო, ფასში მორიგებაც შესაძლებელია და პროდუქტში გაცვლაც. ხან ხორბალში ვცვლით, ხან ქერში, ხან მზესუმზირაში, ესეც ხომ ხალხის შეღავათია?! ხომ ხედავთ, ქალაქი ახალგაზრდებისგან დაიცალა, ხანდაზმულებს კი ბაზარში სიარულის თავი აღარ აქვთ, ვინმე ეს ინიციატივა რომ აიტაცოს და აკრძალოს ქუჩის ვაჭრობა, ჩათვალეთ, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი შიმშილით დაწყდება. ხორცსა და ნუგბარ-ნუგბარს ვეღარ ვჭამთ და ეს პამიდორი და საზამთროც ხომ არ უნდა დაგვენატროს?! ამ ყველაფერს იმიტომ გწერთ, რომ ამა თუ იმ საკითხს მხოლოდ თქვენი ჭრილიდან ნუ შეხედავთ, ასაკიანი ხალხიც გაითვალისწინეთ, თქვენც ხომ დაბერდებით.

პრესის, ალადაშვილის, ევდოშვილის ქუჩის მცხოვრებთა სახელით: ზაირა ალულიშვილი, ელიკო ზურიკაშვილი, ნათელა ალულიშვილი, მაყვალა ჯაგაშვილი, თინა და დარეჯან გონაშვილები.

აღმოყვანება ნაწილთა წმიდისა მოციქულისა ბართლომესი (VI)

აღმოყვანება ნაწილთა წმიდისა მოციქულისა ბართლომესი. ბართლომე მოციქული ქალაქ ალბანში (დღევანდელი ბაქო) ეწამა ქრისტესთვის 71 წელს და იქვე დაკრძალეს. მის წმიდა ნაწილებთან ბევრი სასწაული აღესრულა და მრავალი უღმრთო მოექცა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. იმპერატორ ანასტასის (491-518) დროს წმიდანის ნეშტი ქალაქ ანასტასიოპოლში გადაასვენეს.

როცა ანასტასიოპოლი სპარსეთის მეფე ხოსრომ დაიპყრო, ქრისტიანებმა წმიდა ბართლომეს ნაწილები შავი ზღვის სანაპიროსკენ წაასვენეს, მაგრამ უღმრთოები წამოეწივნენ და იძულებულნი გახდნენ, ლუსკუმა ტალღებისათვის მიეცათ (სხვა ცნობით, იგი თავად მოგვებმა ჩააგდეს წყალში). ბართლომეს ნეშტთან ერთად კიდევ ოთხი კიდობანი ჩაუშვეს ზღვაში - წმიდა მოწამეთა: პაპიანეს, ლუკიანეს, გრიგოლისა და აკაკის ნაწილებით. ღვთის ძალით ისინი არ ჩაიძირნენ, სასწაულებრივ გაცურდნენ და იტალიას მიაღწიეს. ლუსკუმა ბართლომეს უხრწნელი ნაწილებით კუნძულ ლაპარის ნაპირებს მიადგა, სხვა კიდობნებმა კი გზა განაგრძეს და იტალიის სხვადასხვა ადგილებში გაჩერდნენ. წმიდა მოციქულის ნეშტის მობრძანება სასწაულებრივი ჩვენებით გაუცხადდა ადგილობრივ ეპისკოპოს აღათონს, რომელიც ღვთისმსახურთა დასთან ერთად გავიდა ზღვის ნაპირზე, ლუსკუმა გამოასვენა წყლიდან და ზეიმით გადააბრძანა ტაძარში. მოციქულის უხრწნელი ნაწილებიდან მაკურნებელი მირონი გადმოდინდა. სიწმიდე ლიპარის ეკლესიაში IX საუკუნის შუა წლებამდე დარჩა; როცა კუნძული წარმართებმა დაიპყრეს, ქრისტიანმა ვაჭრებმა იგი ქალაქ ბენევენტუმში გადაასვენეს, სადაც მას დიდი პატივით შეეგებნენ და ქალაქის მთავარ ტაძარში მიუჩინეს ადგილი. ზოგი ცნობით, აქედან ბართლომე მოციქულის წმიდა ნეშტი (ან მისი ზოგიერთი წმინდა ნაწილი) X საუკუნეში რომში იქნა გადაბრძანებული.

ევტიქი (კონსტანტინოპოლის პატრიარქი)

დაიბადა ფრიგიაში. მისი მამა, ალექსანდრე, მეომარი იყო, დედა კი, სინესია, ავგუსტოპოლის ეკლესიის მღვდლის, ისიხის ასული. წმინდა ევტიქიმ პირველდაწყებითი განათლება და ქრისტიანული აღზრდა პაპასთან მიიღო. ერთხელ, თამაშის დროს, პატარა ევტიქიმ საკუთარი სახელი დაწერა პატრიარქის ტიტულით და თითქოს იწინასწარმეტყველა თავისი მომავალი. თორმეტი წლის ევტიქი კონსტანტინეპოლში გააგზავნეს სწავლის გასაგრძელებლად. ყმაწვილმა ბრწყინვალედ აითვისა სხვადასხვა მეცნიერება და მიხვდა, რომ ყოველგვარი ადამიანური სიბრძნე არარაობაა ღვთაებრივი გამოცხადების წინაშე. მან გადაწყვიტა, ბერად აღკვეცილიყო. წმიდა ევტიქი ამასიის ერთ-ერთ მონასტერში წავიდა. ღვთივსათნო ცხოვრების გამო მალე ის მთელი ამასიის მონასტრების არქიმანდრიტად აირჩიეს.

როცა კეთილმსახური იმპერატორის, იუსტინიანეს (527-565) დროს V მსოფლიო კრება მზადდებოდა, ამასიის მიტროპოლიტი დასნეულდა და თავის ნაცვლად წმინდა ევტიქი გაგზავნა კონსტანტინეპოლში. აქ წმინდანი მოხუცმა პატრიარქმა წმინდა მინამ (536-552, ხს. 7 სექტემბერს) ნახა და პატრიარქობა უწინასწარმეტყველა. წმინდა მინას სიკვდილის შემდეგ იმპერატორ იუსტინიანეს პეტრე მოციქული გამოეცხადა და უფლის ნება აუწყა: დაქვრივებულ ტახტზე ევტიქი უნდა აღსაყდრებულიყო.

წმინდა ევტიქის საპატრიარქო მოღვაწეობის დასაწყისში მოწვეულ იქნა V მსოფლიო კრება (553), რომელზეც მამებმა წარმოქმნილი ერესები განსაჯეს და ანათემას გადასცეს. რამდენიმე წლის შემდეგ ეკლესიაში გაჩნდა ახალი ერესი, რომელიც ასწავლიდა, რომ ქრისტეს არ განუცდია ვნებანი.

წმინდა ევტიქიმ უშიშრად ამხილა ეს ერესი, რის გამოც იგი გადაასახლეს.

პატრიარქი მორჩილად იტანდა გადასახლებას, ლოცვასა და მარხვაში ატარებდა დღეებს და მრავალ სასწაულს და კურნებას იქმოდა: მისი ლოცვით კეთილმსახური ანდროგინის მეუღლეს, რომელიც მანამდე ყოველთვის მკვდარ შვილებს შობდა, ორი ჯანმრთელი ვაჟი ეყოლა, ორმა ყრუ-მუნჯმა ენა აიდგა, ზეთის ცხებით და ჯვრის გადასახვით მხატვარი განიკურნა, განიკურნა ორი მძიმედ სნეული ბავშვიც. წმიდა პატრიარქი კურნავდა არა მარტო ხორციელ, არამედ სულიერ სნეულებებსაც: ჩვილისაგან განდევნა ბოროტი სული, რომელიც წმიდა ზიარებაზე არ უშვებდა ბავშვს, ბოროტი სული განდევნა მონასტრიდან გაქცეული ყმაწვილისაგანაც; კურნავდა კეთროვანებს, ლოთებს.

როცა ამასიას სპარსელები შემოესივნენ და ქალაქში შიმშილობამ დაისადგურა, პატრიარქის მითითებით დაიწყეს მონასტრის საცავებიდან ხორბლის გატანა და მოსახლეობისთვის დარიგება, მაგრამ მონასტერში წმიდა ევტიქის ლოცვით ხორბალი არ ილეოდა.

წმინდა ევტიქიმ ღვთისგან წინასწარხედვის ნიჭი მიიღო. მან იწინასწარმეტყველა იუსტინიანეს ორი მემკვიდრის სახელი - იუსტინე (565-578) და ტიბერიუსი (578-582).

წმინდა პატრიარქის, იოანე სქოლასტიკოსის გარდაცვალების შემდეგ, 577 წელს, წმინდა ევტიქი დაბრუნდა თორმეტწლიანი გადასახლებიდან და კვლავ ჩაიბარა სამწყსო.

პატრიარქის ტახტზე დაბრუნებიდან ოთხნახევარი წლის შემდეგ, 582 წლის თომას კვირიაკეს წმინდა ევტიქიმ მრევლი შეკრიბა, აკურთხა, ყველას გამოემშვიდობა და მშვიდად ჩაბარა სული უფალს.

მონატრება

ვანო აფიციაური

რა მალე მიილია ორმოცი ტკივილით სავსე, ცრემლიანი დღე. გვიჭირს უშენობა, არ ვიცით, როგორ გავაგრძელოთ ცხოვრება უშენოდ, როგორ ვანუგეშოთ შენი ცალუღელად დარჩენილი ლიზა, რომელთანაც 58 თანაცხოვრების წელი გაკავშირებს.

რა ვუთხრათ შორეული საბერძნეთიდან ჩამოსულ შენს მონატრებულ ნათელას, მის შვილებს და შენს უნახავ შვილთაშვილებს, გარეგნულად შენ რომ გამსგავსებდით, გეამაყებოდა, დღეს ითვლიდი, როდის ნახავდი.

არ გვინდა, შენი ნაჯაფარი ფუძე მოიშალოს, გპირდებით, ეს არასოდეს მოხდება. გვგონია, გასული ხარ და მალე დაბრუნდები, თურმე ოჯახს შენ ავსებდი, ახლა კი შენს საყვარელ ეზო-კარ-მიდამოში სიცარიელეა, დდუმდა შენი საყვარელი ფანდურიც, რომელსაც მაშინ უკრავდი და მღეროდი, როცა ყველანი შენთან ვიყავით.

ყველა ნათესავი, მეზობელი, მეგობარი, კეთილი გულით და ღიმილით იხსენებს შენს იუმორს.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულის უკვდავსაყოფად.

ღმერთს ებარებოდე და ჩვენგან დანთებული სანთლები გინათებდეს გზას მარადისობისაკენ.

ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები.

შენი ოჯახი

მეუღლე ზემფირა, შვილები:ნანა, ნონა, სიძეები: გივი ნატროშვილი, დათო არაბული, შვილიშვილები: ვიქტორი, ლიზი, გიგი, ნიკა; ძმა გივი, ძმისშვილები, რძლები, ცოლისძმა ჟორიკა, ცოლისდა ჯულიეტა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ არჩილის ძე მაძღარაშვილი.

დაიკრძალა 8 სექტემბერს, ქ. დედოფლისწყაროში.

შვილი გივი, ძმა სერგო, ძმისშვილები: მამუკა, დიანა, რძლები:ირა, ზემფირა, მერი, მარიკა, შვილიშვილები: ზურა, მარინა, მაია, აჩიკო, ნინო, ნონა, ნანა, დალი; შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადიკო (ნადია) მაძღარაშვილი

დაიკრძალა 8 სექტემბერს, ქ. დედოფლისწყაროში.

ილია, ზაურ მარტყოფლიშვილები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ მაია და მარინა მაძღარაშვილებს ბიძის, ზემფირა დელიანოვას მეუღლის და ნანა და ნონა მაძღარაშვილებს მამის

თენგიზ მაძღარაშვილის

გარდაცვალების გამო.



დედა ლამარა, მეუღლე ნანა, შვილები: გიორგი, თორნიკე, ძმა იოსები (სოსო), სიმამრი მიხეილ (ჩიტო)ნატროშვილი, სიდედრი იზოლდა ბენაშვილი, ძმისშვილები: სალომე, ლამარა, მიშიკო,ცოლისძმა გელა ნატროშვილი, რძალი ციური კვანჭილაშვილი, ცოლის ძმისშვილები: მაგდა, მიხეილი, იზა, ბიცოლა ვენერა ბახია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

თემურ (გადრი) გაიდოშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 30 აგვისტოს ქ. დედოფლისწყაროში.

რუსუდან წერეთელი, ნუკრი, მარინა ცქიტიშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა, გიორგი და თორნიკე ბაიდოშვილებს

გადრი გაიდოშვილის

გარდაცვალების გამო.

ქალაქ წითელწყაროს №1 საშუალო სკოლის X[1] კლასის 1975 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

გადრი გაიდოშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

„მაქციას დების“ ისტორიამ მსოფლიო მოიცვა

ინდოელი გოგონები, რომლებიც იშვიათი დაავადებით არიან ავად, რომელიც სხეულზე თმების უსწრაფესად ზრდას განაპირობებს, უკვე 3 თვეა მოსკოვის კლინიკაში მკურნალობენ. პაციენტები დები არიან. მათი დაავადება გენეტიკურია და ჰიპერტრიხოზი ქვია. მას, ასევე, „მაქციას სინდრომსაც” უწოდებენ.

პაციენტების ახლობლების თქმით, გოგონები ბავშვობიდან თავად ცდილობდნენ სხეულიდან ზედმეტი თმების მოშორებას, თუმცა თმა იმდენად ინტენსიურად იზრდება, რომ მსგავსი პროცედურების ჩატარებას ფაქტობრივად, რამდენიმესაათიანი ეფექტი მოჰყვებოდა. კლინიკაში ჯერ არ იციან, რა მეთოდები იქნება საჭირო მკურნალობისათვის, რომ გოგონებმა საზოგადოებაში დაბრუნება შეძლონ. დაავადება მამისგან გადაეცათ. მათი დედა 12 წლის გათხოვდა. ტრადიციის თანახმად, საქმრო ქორწილამდე ნანახი არ ჰყავდა. შვილების გაჩენის შემდეგ კი მთელი ოჯახისთვის ცხოვრება კოშმარად იქცა. ასეთი გარეგნობით ნებისმიერი სამსახურის შოვნაც კი გოგონებისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. პაციენტები მთელ მსოფლიოში ცნობილები გახდნენ. მათმა, როგორც „მაქციას დების” ისტორიამ მსოფლიო მედია მოიცვა.

დედამიწას გიგანტური ასტეროიდი სახიფათო მანძილზე მოუახლოვდება

ასტეროიდ QG42-ის ზომა ნახევარი კილომეტრია. ის დედამიწას 2,84 მილიონი კილომეტრის მანძილზე მოუახლოვდება, რაც დაახლოებით დედამიწიდან მთვარემდე 7,4 საშუალო დაშორების ტოლია. კოსმიური პარამეტრებით, აღნიშნული მანძილი მინიმალური დაშორებაა. ასტეროიდი დედამიწას გრინვიჩის დროით 05:12 საათზე მოუახლოვდება.

QG42 ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომლებიც პროექტ „კატალინას“ ფარგლებში ციურ სხეულებს ეძებდნენ. მათი განცხადებით, ის დედამიწისთვის ძალზედ სახიფათოა. 2039 წლის 15 სექტემბერს ის ჩვენს პლანეტასთან კვლავ დაბრუნდება და ამასთან, გაცილებით ახლო მანძილზე.

მეცნიერების კიდევ უფრო დიდ შეშფოთებას იწვევს ასტეროიდი აპოფისი, რომელიც 2036 წლისთვის კაცობრიობას ნამდვილ საფრთხეს შეუქმნის. იმ შემთხვევაში, თუ ის დედამიწას დაეჯახება, მაშინ დარტყმის დროს 100 ათასჯერ მეტი ენერგია გამოიყოფა, ვიდრე ჰიროსიმაში ბირთვული აფეთქების დროს მოხდა.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ!

მაღაზიის შენობა 100მ² სავაჭრო დარბაზით, 200მ² სათავსოებით, ეზოს ფართით და ყველა საჭირო ინვენტარით.

☎ 599 268028

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ვეძებ ქალის და მამაკაცის გამოცდილ სტილისტს. მსურველები დაგვიკავშირდით:

☎ 568 69 28 28; 557 20 54 20

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი აფთიაქი. მომხმარებელს ვთავაზობთ წამლებს დაბალ ფასში.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქ. №64

☎ 577 18 05 32

თინათინ ავაქიანი

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲡᲘᲐᲮᲚᲔ!

ქალაქ დედოფლისწყაროში, ფიროსმანის ქ.№18, გაზეთ „შირაქის“ რედაქციის შენობაში გაიხსნა ექოსკოპიის კაბინეტი, სადაც კეთდება მრავალპროფილური გამოკვლევები, კერძოდ: მუცლის ღრუს ორგანოების, შარდ-სასქესო სისტემის, სამეანო, გინეკოლოგიური, ფარისებრი ჯირკვლის და ძუძუს (სპეციალური გადამწოდით). მომსახურება შესაძლებელია ბინაზეც.

ფასები ხელმისაწვდომია. უმწეოების მომსახურება მოხდება შეღავათიან ფასებში.

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲗ ᲔᲥᲘᲛᲘ — ᲠᲐᲓᲘᲝᲚᲝᲒᲘ ᲜᲣᲪᲐ ᲐᲚᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

☎ 555 21 38 80

ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ (ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ ᲡᲔᲠᲗᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ)

მიიღებიან მოსწავლეები 6 წლის ასაკიდან.

ენების ცენტრი სთავაზობს მსმენელს უცხო ენების ათვისების ახალ, თანამედროვე მეთოდებს და სტანდარტებს, რომლებიც შესწავლილი და დამუშავებულია დამფუძნებლის მიერ და რომელსაც აქვს უშუალო კავშირი ლონდონის სამეფო კოლეჯის სასწავლო სისტემასთან.

სწავლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მოსწავლის დონესა და ასაკზე.

სწავლება მოიცავს სამ საფეხურს:

1. ელემენტარული — **elementary**
2. საშუალო — **intermediate**
3. საშუალოზე მაღალი — **upper-intermediate**

თითოეული საფეხურის დაძლევის შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი იმის მიხედვით, თუ რომელი დონე დაძლია შემსწავლელმა.

მეცადინეობა ჩატარდება კვირაში ორჯერ. თითოეული გაკვეთილი მოიცავს ორ საათს.

სწავლება საგნობრივია (შეიცავს ენის შესწავლის სხვადასხვა ასპექტს: Reading, speaking, grammar) და სხვა.

წარმატებულ მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება მოიპოვონ კემბრიჯის სერთიფიკატი ენების ცენტრის შუამდგომლობით.

გარდა ინგლისური ენისა, ცენტრში შესაძლებელია **რუსული ენის** შესწავლა შესაბამისი პროგრამით და მეთოდიკით. მსურველებს შეუძლიათ ისწავლონ ენები ცალკ—ცალკე ან ორივე ერთად.

მეცადინეობა ჩატარდება დღის მეორე ნახევარში — 2 საათიდან.

სასწავლო პროცესს წაიყვანს ცენტრის ხელმძღვანელი და დამფუძნებელი ცაცა ბენაშვილი, ანგლისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

საბუთები მიიღება 20 სექტემბრიდან.

მისამართი: ფალიაშვილის ქ.№2. სკოლა „ბენაურის“ შენობა.

ჩარიცხვა გასაუბრებით.

☎ 593 377 399

ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას დედოფლისწყაროს, ზემო ქედის, არბოშიკის, ზემო მაჩხაანის სამუსიკო და სამხატვრო განყოფილებაზე ახალ 2012-2013 სასწავლო წლისთვის.

განცხადებები მიიღება 3 სექტემბრიდან. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ხელოვნების სკოლის დირექციას.

სწავლა დაიწყება 17 სექტემბერს.

სკოლის მისამართია: 9 ძმის ქუჩა №2

☎ 593 90 86 60

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ

	ᲓᲦᲔ	ᲦᲐᲛᲔ
ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 08.09	25°	20°
ᲙᲕᲘᲠᲐ 09.09	20°	17°
ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ 10.09	23°	18°
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 11.09	20°	16°
ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 12.09	19°	15°
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 13.09	22°	16°
�პᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ 14.09	23°	21°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ᲘᲜᲒᲑᲐ ᲨᲘᲠᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ნომრის რედაქტორი **ᲘᲜᲒᲑᲐ ᲨᲘᲠᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ᲚᲐᲚᲘ ᲛᲔᲮᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (კორესპონდენტები); ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲔᲔᲒᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ (სტილისტ-მენეჯერი); ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲑᲝᲡᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ბუღალტერი); ᲜᲘᲐᲖᲘ ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ოფის-მენეჯერი); ᲛᲖᲘᲐ ᲥᲔᲜᲥᲐᲫᲔ (დისტრიბუტორი); ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲣᲬᲐᲨᲕᲘᲚᲘ (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართია:
ქ. დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K